



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 2 20 0001145905



02/12/2020

„პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ“

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების (უკანასკნელი ცვლილებები - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილება) და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის MES 3 20 0001131992 ბრძანების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ მითითებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ხორციელდება ქ. თბილისში, სასწავლო პროცესი 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში: „ბექდვითი მედიატექნოლოგიები“, „საოფისე საქმე“, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“, „ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება“, „ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „საბაჟო საქმე“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „სარკინიგზო გადაზიდვები“, „მექატრონიკა“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „ჰაერის კონდიციონირება“, „სამკერვალო წარმოება“, „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“, „სამრეწველო ავტომატიზაცია“, „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“;

2. გარდა ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესი შეჩერდეს ყველა დანარჩენ პროფესიულ პროგრამებზე, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელს).
4. ბრძანება, საჯარო გაცნობისათვის, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.N64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე

